აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 43

09/09/2016 წელი **ქ. ბათუმი**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო სუბიექტის „საქართველო“ და მისი წარმომადგენლის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ

არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა (2016 წლის 8 სექტემბერი) საარჩევნო სუბიექტმა „საქართველო“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში არ წარმოადგინა პარტიული სია, რაც „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 35-ე მუხლის მე-7 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად იწვევს პარტიის საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმებას.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 35-ე მუხლის მე-7 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 39-ე მუხლის მე-7 პუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, **ვადგენ:**

1. გაუუქმდეს საარჩევნო რეგისტრაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის რეგისტრირებულ საარჩევნო სუბიექტს **„საქართველო“** და მის წარმომადგენელს **ილია აბაშიძეს.**

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პარმენ ჯალაღონია

თავმჯდომარე